ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ᲝᲠᲒᲐᲜ ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗУЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1986 წ.
№ 195 (2856) ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ

ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲜᲐ ᲐᲮᲛᲘᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲐᲜᲘ შესვენების შემდეგ ბორჯომში განახლდა მატჩი.

მეათე პარტიაში შავებით მოთამაშე მსოფლიო ჩემპიონმა გრიუნფელდის დაცვა აირჩია. შეხვედრა მეტად მშვიდად წარიმართა: არც ერთი მხარე არ ცდილობდა ზედმეტად გაემწვავებინა პოზიცია. ასეთი თამაში მაია ჩიბურდანიძეს თუ აძლევდა ხელს, თორემ ელენა ახმილოვსკაიასთვის არ უნდა ყოფილიყო მისაღები, მაგრამ პრეტენდენტს მაინც არ შეუცვლია თავიდანვე აღებული ტემპი. როგორც ჩანს, ძნელია მსოფლიო ჩემპიონს ზედიზედ ორჯერ ეთამაშო მოგებაზე. და ახმილოვსკაიამაც ეს „საქმე“ მომავლისთვის გადადო. ამასობაში ჩიბურდანიძე კიდევ უფრო მიუახლოვდა სანუკვარ რვა ქულას. ახლა მას ქულანახევარი ჭირდება ტიტულის შესანარჩუნებლად. ანგარიშია 6,5:3,5 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

ᲐᲮᲛᲘᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ — ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

გრიუნფელდის დაცვა

1. d4 ᲛᲤ6 2. c4 g6 3. ᲛᲤ3 ᲙᲒ7 4. g3 0—0 5. ᲙᲒ2 c6 6. ᲛC3 d5 7. cd cd 8. ᲛE5 e6 9. 0—0 ᲛC6 10. Მ:c6 bc 11. ᲛA4 ᲛD7 12. ᲙF4 ᲚA5 13. a3 ᲙA6 14. b4 ᲚD8 15. ᲔE1 ᲙC4 16. ᲛC5 ᲔE8 17. ᲔC1 Მ:c5 18. bc ᲚA5 19. e4 Ლ:a3 20. ᲙD6 ᲚD3 21. Ლ:d3 Კ:d3 22. e5 a5 23. ᲔC3 ᲙB5 24. ᲙF1 Კ:f1. ᲧᲐᲛᲘ.

მომდევნო, მეთერთმეტე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲨᲝᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲚᲔᲕᲡ ᲛᲝᲛᲮᲝᲕᲜᲐ ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲙᲐᲢ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲐ ᲠᲝᲚᲡᲚ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲒᲝᲛᲘᲗ ᲩᲐᲝᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲛᲐᲪ.

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲛᲘᲗ, ᲡᲐᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲝ ᲛᲮᲐᲠᲔᲜᲑᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ, ᲬᲘᲜᲐ ᲞᲚᲐᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲛᲝᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲠᲝᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲘᲚᲘᲐᲠᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲔᲠᲛᲔᲠᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲘᲚᲘᲐᲠᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲒᲝᲛᲘᲗ ᲩᲐᲝᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲘᲐᲚᲭᲜᲝ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲘᲚᲘᲐᲠᲐᲠᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲒᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲢᲧᲣᲘᲐᲜ, ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ ᲛᲘᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲐᲤᲠᲝᲜᲝᲒᲑᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲒᲕᲐᲪᲣᲛᲑᲘᲜᲔᲑᲓᲐ:

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲑᲘᲒᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲤᲠᲝᲡᲘᲐᲜᲗᲐ ნებისმიერი შეჯიბრება, მათ შორის საკავშირო ჩემპიონატი, 7 რბოლისგან შედგება. 7 რბოლა ფაქტიურად 7 შედეგია, რაც ბოლოსდაბოლოს ჯამდება და გამარჯვებულს სწორედ ეს ჯამი ასახელებს. მაგრამ საიალქნო სპორტში ერთი „ჯენტლმენური“ წესი არსებობს, რომელიც შემთხვევითობას ასე თუ ისე გამორიცხავს. 7 რბოლიდან ერთი, ყველაზე უვარგისი შედეგი უქმდება და ჩათვლაში ექვსი საუკეთესო მაჩვენებელი შედის. მეოთხე რბოლის წინ „ვარსკვლავის“ კლასში გარკვეული ცოტა რამ იყო. ვიცოდით, რომ ლენინგრადელ ვ. სოლოვიოვს ერთი შედეგის გაუქმება შეეძლო. ამით მას 10 საჯარიმო ქულა დააკლდებოდა და ორი მოგებული რბოლით ლიდერი გახდებოდა. გურამ ბიგანიშვილს კი გასაუქმებელი შედეგი ფაქტიურად არ ჰქონდა. II და III ადგილებს არავინ აუქმებს. ამიტომ იგი, როგორც იტყვიან, ლიდერს კვალდაკვალ მიყვებოდა.

აფროსნები ამბობენ, ჩემპიონატი მეოთხე რბოლიდან იწყებაო. გასაგებია. მოახლოებულ ფინიშთან ყველა ცდილობს უფრო ზუსტი, უურადღებიანი და მობილიზებული იყოს. ამ მხრივ მეოთხე რბოლამ „ვარსკვლავის“ კლასში არსებითი ცვლილებები შეიტანა.

წინასწარ უნდა ვთქვათ, ამ დღეს ბიგანიშვილი მართლაც შეუდარებელი იყო და რბოლა ისეთი უპირატესობით მოიგო, როგორც საერთოდ სჩვევია. ბიგანიშვილ-ზიბინის ეკიპაჟმა საკონტროლო ხაზი რომ გადაკვეთა, მეორე ნავი მხოლოდ მაშინ გამოჩნდა და ისიც სადღაც შორს, წერტილივით. მაგრამ ეს მეორე წინა დღის ლიდერი სოლოვიოვი არ იყო. იგი ვერც მესამე მივიდა ფინიშთან, ვერც მეოთხე, მეხუთე... სოლოვიოვი ფინიშთან მხოლოდ მერვე იყო და ამისთვის 14 საჯარიმო ქულა მიიღო. II ადგილი ამ რბოლაში ბელორუსიელ ს. ხორეცკის ხვდა, ხოლო III — მის თანაგუნდელს ვ. ზუევს. 4 რბოლის შემდეგ ისევ გურამ ბიგანიშვილი დაწინაურდა, რომელსაც გასაუქმებელი რბოლის გარეშე 11,7 საჯარიმო ქულა აქვს (გაუქმებული, ცხადია, უფრო ნაკლები ექნება — 6 ქულა). II ადგილზე გადაინაცვლა ხორეცკიმ — — 21 ქულა (გასაუქმებელით — 11). სოლოვიოვი ჯერჯერობით მხოლოდ მესამეა — 24 ქულა (გასაუქმებელით — 10). როგორც ჩანს, საპრიზო ადგილებს სწორედ ეს სამეული გაინაწილებს.

საკავშირო ჩემპიონატის პირველი ნახევარი დამთავრდა და ჩვენ მისი კომენტარი გურამ ბიგანიშვილის ერთ-ერთ მწვრთნელს **თეიმურაზ მელაძეს** ვთხოვეთ (მეორე მწვრთნელმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვალენტინ მანკინმა ტურნირის დამთავრებამდე ინტერვიუს მიცემაზე თავი შეიკავა).

ᲘᲮ. ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘᲗ

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲣᲠᲘ ამანათრბენი „თბილისის რკალი“, რომელიც გაზეთ „თბილისის“ პრიზზე იმართება, უკვე ტრადიციულ შეჯიბრებად იქცა. მაგრამ პრიზის მე-4 გათამაშება, რომელიც კვლავინდებურად კონსტიტუციის დღეს, 7 ოქტომბერს გაიმართა, ამჯერად სხვა მარშრუტით ჩატარდა. შეჯიბრების მონაწილეებმა ლენინის ქუჩიდან გეზი ჭავჭავაძის პროსპექტისაკენ აიღეს, გაირბინეს გურამიშვილის ქუჩა, მშვიდობის გამზირი და ლენინის ქუჩაზე გაზეთ „თბილისის“ რედაქციასთან შეკრეს რკალი.

ყველას გასაოცრად, თავიდან პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტსმენები დაწინაურდნენ (მწვრთნელი ნუხა გაგოშიძე), მაგრამ ვაკის პარკთან, ასე ვთქვათ, „საკუთარ“ ტერიტორიაზე, მათ ასპარეზობის ფავორიტის — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნები წამოეწივნენ. საბოლოოდ ამ გუნდმა გაიმარჯვა. მისმა წევრებმა 9 400-მეტრიანი დისტანცია 24.51,4-ში დაფარეს. ფინიშთან მეორე იყო პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენელი, მესამე მოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრების წევრი.

ადგილები სხვადასხვა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ასე განაწილდა. უმაღლეს სასწავლებლებში, რა თქმა უნდა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები პირველობდნენ. მომდევნო ადგილებზე პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები გავიდნენ. გაგაცნობთ სხვა ჯგუფებში გამარჯვებულებსაც: **ტექნიკუმები.** 1. პოლიტექნიკური; 2. ფიზკულტურის; 3. მანქანათმშენებლობის. **რაიონები.** 1. 26 კომისრის სახელობის რაიონი; 2. ლენინის რაიონი; 3. საჭარხნო რაიონი. **სპორტკლუბები:** 1. „ფეიქარი“; 2. „უშბა“; 3. „შევარდენი“.

7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲮᲐᲑᲠᲘᲕ-ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲘᲡᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ. ᲒᲣᲨᲘᲜ ᲐᲛ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲬᲠᲔᲓᲝᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲘᲓᲐᲜ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ, ᲮᲝᲡᲣᲛᲘᲓᲐᲜ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲓᲐᲜ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜ, ᲒᲝᲒᲔᲑᲭᲝᲠᲘᲓᲐᲜ, ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲓᲐᲜ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲓᲐᲜ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲓᲐᲜ, ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲓᲐᲜ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲐᲑᲛᲔᲢᲘᲓᲐᲜ, ᲬᲘᲗᲚᲬᲧᲐᲠᲝᲓᲐᲜ, ᲗᲐᲑᲐᲠᲐᲫᲘᲓᲐᲜ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲝᲓᲐᲜ... (ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲬᲕᲓᲘᲗ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ).

ᲥᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲚᲕᲝᲕᲘ დამთავრდა იუნიორთა საკავშირო პირველობა ტყვიის სროლაში. 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის პისტოლეტით სროლაში ბადალი არ ჰყავდა ნინო სალუქვაძეს. მან მცირეკალიბრიან პისტოლეტით სროლაში 589 ქულა მოაგროვა და მთელი 7 ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქე, პნევმატური პისტოლეტით სროლაში კი 2 ქულით გაუსწრო სხვებს. (ნინომ ამ ვარჯიშში 379 ქულა მოაგროვა). გარდა ამისა, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა არმიელთა ნაკრების შემადგენლობაში კიდევ ორი გამარჯვება იზეიმა.

ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდი მოსკოვს გაემგზავრა. აქ იგი სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებს ჩაატარებს მოსკოვის გუნდებთან. ტრავმის შემდეგ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მოსკოვში აგრძელებს მკურნალობას თბილისელთა ლიდერი ნ. დერიუგინი. სხვა კალათბურთელებიდან ტრავმირებული არავინაა.

* * *

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ წყალბურთელთა გუნდიც სსრ კავშირის ჩემპიონატის მომდევნო (მეორე წრის VI ტურის) მატჩებს მოსკოვში გამართავს. ხვალ თბილისელები შეხვდებიან ლვოველ წყალბურთელებს, 11 და 12 ოქტომბერს კი ისინი კიეველ და ალმა-ათელ თანაკლუბელებს ეთამაშებიან.

ᲒᲐᲠᲘ ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲛᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ

ᲕᲘᲗᲝᲛ დაირღვევა ტრადიცია, თუ ყველაფერი ძველი, უკვე „გამობრძმედილი“ მოდელით განვითარდება? ეს კითხვა აწუხებდა ყველას, ვინც გულგრილად არ ადევნებდა თვალს საუკუნის მატჩ-რევანშს თანამედროვეობის ორი უნიჭიერესი მოჭადრაკის გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მონაწილეობით. მაინც რა ტრადიციაზეა საუბარი? საქმე ისაა, რომ პირველი მატჩ-რევანშის შემდეგ (1896 წ. ახალგაზრდა ჩემპიონმა ლასკერმა სძლია ექსჩემპიონს სტეინიცს), მომდევნო სამივე (1937 წ. ეივე-ალიოხინი; 1958 წ. სმისლოვ-ბოტვინიკი; 1961 წ. ტალი-ბოტვინიკი) მატჩ-რევანშში ექსჩემპიონები იბრუნებდნენ ტიტულს.

ალბათ ამიტომ ამბობდა მეოთხე, 1986 წლის მატჩ-რევანშის წინ მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილ სმისლოვი: კასპაროვმა ისე უნდა ითამაშოს, თითქოს პირველად იბრძვის ჩემპიონის ტიტულისთვისო.

და აი, ჩაიარა უაღრესად დაძაბულმა, მღელვარე და საინტერესო ორთვენახევარმა, დაგეგმილი 24 პარტიიდან ოცდასამის შედეგი უკვე ვიცით (ბოლო, 24-ე პარტია გუშინ გვიან საღამოს გაიმართა, მაგრამ მისი შედეგი ვეღარაფერს შეცვლის, უბრალოდ, მატჩ-რევანშის საბოლოო ანგარიშს გაგვაცნობს) და, რაც მთავარია უკვე ცნობილია, რომ ამჯერად ტრადიცია არ დარღვეულა, ტიტული მართლაც ღირსეულმა ჩემპიონმა შეინარჩუნა!

ეს კი მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა მეტოქეებმა 23-ე პარტია ყაიმით დაამთავრეს. ლენინგრადის სასტუმრო „ლენინგრადის“ საკონცერტო დარბაზში, პრესცენტრში თუ ახლომახლო ტერიტორიაზე შეკრებილი უამრავი გულშემატკივარი ელოდა, რომ ანატოლი კარპოვი, რომელიც იმ დღეს თეთრებით თამაშობდა, ბოლო შანსს არ გაუშვებდა ხელიდან და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ. საკმაოდ მშვიდი პაექრობის შემდეგ ექსჩემპიონმა მატჩ-რევანშში გამარჯვება მიულოცა აწ უკვე ორგზის მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს. ანგარიში გახდა 12:11.

ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

Ა. ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — Გ. ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ

ინგლისური დასაწყისი

1. ᲛᲤ3 ᲛᲤ6 2. c4 b6 3. g3 c5 4. ᲙᲒ2 ᲙB7 5. 0—0 g6 6. d4 cd 7. Ლ:d4 ᲙᲒ7 8. ᲛC3 d6 9. ᲔD1 ᲛBD7 10. b3 ᲔC8 11. ᲙB2 0—0 12. ᲚE3 ᲔE8 13. ᲔAC1 a6 14. ᲙA1 ᲔC5 15. a4 ᲚA8 16. ᲛE1 ᲔF5 17. Კ:b7 Ლ:b7 18. Ფ3 h5 19. ᲛG2 ᲔC5 20. ᲙB2 ᲔCC8 21. ᲙA3 ᲛC5 22. ᲔB1 ᲛE6 23. ᲚD3 ᲛC7 24. ᲛF4 b5 25. cb ab 26. Მ:b5 Მ:b5 27. Ლ:b5 Ლ:b5 28. ab ᲔB8 29. ᲙB2 ᲔB7 30. b6 ᲔB8 31. b4 ᲛD7 32. Კ:g7. ᲧᲐᲛᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

გაკვეთილი საგულისხმო და დამაფიქრებელი

ᲫᲐᲛᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ, ᲫᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ

ამას მტკიცება არ სჭირდება: საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ჩვენი სპორტის ავ-კარგის ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი და ობიექტური შემფასებელია. არც ის არის სადავო, რომ სპარტაკიადაზე, ისევე როგორც სხვა კომპლექსურ შეჯიბრებებზე, სპორტის ქართველ გულშემატკივრებს, უწინარესად, ჭიდაობისა და მოჭიდავეების იმედი აქვთ. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს იმედი ხშირად მართლდება ხოლმე.
რა მოხდა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე? შეასრულეს თუ არა დანაპირები ჩვენმა ფალავნებმა?

მოდით, თავდაპირველად ციფრებს გადავავლოთ თვალი. 7 ივნისს „ლელოში“ გამოქვეყნდა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლის გეგმა-პროგნოზი. აი, რა შედეგებს ვარაუდობდნენ მწვრთნელ-სპეციალისტები: თავისუფალი ჭიდაობა — 215 ქულა, I-II ადგილი, 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი; კლასიკური ჭიდაობა — 182 ქულა, III ადგილი, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი; ძიუდო — 217 ქულა, I ადგილი, 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი: სამბო — 217 ქულა, I-III ადგილი, 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

ცნობილია, სპორტში პროგნოზი ერთობ საჩოთირო საქმეა, მაგრამ მას მაინც რეალური მონაცემები უდევს საფუძვლად. ცხადია, როცა მწვრთნელ-სპეციალისტები სავარაუდო შედეგებს გეგმავდნენ, პირველ ყოვლისა, ჩვენი ფალავნებისა და მათი მეტოქეების პოტენციურ შესაძლებლობებს ითვალისწინებდნენ, მაგრამ ჩათვლის სისტემაში შეტანილმა სახელდახელო ცვლილებებმა, შეიძლება ითქვას, თავდაყირა დააყენა პროგნოზები. საქმე ის არის, რომ ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, რომელი მოჭიდავეები აძლევდნენ პარალელურ ჩათვლას ცალკეულ გუნდებს. ამან ყველაზე მეტად თავისუფალი სტილის მოჭიდავეებისა და ძიუდოისტების ნაკრები გუნდები დააზარალა. არა, ამას მწვრთნელების გასამართლებლად არ ვამბობთ, მაგრამ შედეგების ანალიზის დროს ამ ფაქტის უგულებელყოფაც არ შეიძლება.

ასეა თუ ისე, საქართველოს მოჭიდავეებმა დაგეგმილი 813-ის ნაცვლად მხოლოდ 679,5 ქულის მოპოვება შეძლეს. ამიტომ მაღალი გუნდური ადგილებიც ვერ დაიკავეს; 21-ის ნაცვლად კი მხოლოდ 14 მედალი მიიღეს (აქვე უნდა ითქვას, რომ დაგეგმილი იყო ხუთი და მოპოვებულია რვა ოქროს მედალი). ეს ქულები და მედლები ცალკეულ სახეობებზე ასე ნაწილდება: თავისუფალი ჭიდაობა — 219 ქულა, V ადგილი, 3 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი; კლასიკური ჭიდაობა — 130 ქულა, VII ადგილი, 1 ვერცხლის მედალი; ძიუდო —209,5 ქულა, II ადგილი, 4 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი; სამბო — 121 ქულა, X ადგილი, 1 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი.

ამ სტატისტიკიდან ნათლად ჩანს, რომ ყველაზე უკეთ ძიუდოისტთა ნაკრებმა იასპარეზა. მართლაც, საყვედურის სათქმელად ენა როგორ მოგიბრუნდება კაცს, როცა ჩვენმა ძიუდოისტებმა რვიდან ოთხი ოქროს ჯილდო დაისაკუთრეს და სულ ახლოს იყვნენ აბსოლუტურ გამარჯვებასთან. ასეთი შედეგით ჩვენი გუნდი, რა თქმა უნდა, სპარტაკიადის ჩემპიონობის ღირსი იყო და ასეც მოხდებოდა, პარალელური ჩათვლის უცნაური სისტემა რომ არა. ჩვენ აქ არ ვაპირებთ სპარტაკიადის დებულების რევიზიას, ეს საქმე „ლელოს“ კომპეტენციაში არ შედის, თუმცა, დებულებაში ზოგი საკითხი რომ დასაზუსტებელია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სხვათა შორის, ამ აზრისაა ბევრი ცნობილი მწვრთნელი და სპეციალისტი, რომლებმაც სპარტაკიადის მსვლელობისას და შემდეგაც სამართლიანი პრეტენზიები გამოთქვეს ჩათვლის სისტემის მიმართ. საქართველოს ძიუდოისტები II ადგილზე აღმოჩნდნენ, ხოლო სპარტაკიადის ოქროს მედლების ნახევარი ჩვენმა ბიჭებმა წამოიღეს და ეს ცოტას როდი ნიშნავს. თუმცა, უნდა ითქვას, შესაძლებლობები არც აქ ყოფილა სრულად გამოვლენილი და დამშვიდების უფლება არ გვაქვს.

ძიუდო ის სახეობაა, ჩვენი პოზიცია ყველაზე მყარი და საიმედო რომ ჩანს. მარტო წელს იმდენი გამარჯვებაა მოპოვებული, რომ ყველას ჩამოთვლა საკმაოდ მოზრდილ ადგილს დაიჭერდა გაზეთში. ერთი კი არის: საკავშირო ჩემპიონატებსა თუ საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებულ წარმატებას ყოველთვის როდი მოსდევს გამარჯვებები ევროპულ და მსოფლიო სარბიელზე. თუმცა ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. ჩვენს ძიუდოს ბოლო წლებში არაერთი საიმედო, უდავოდ პერსპექტიული მოჭიდავე შეემატა, ვეტერანებმა ნელ-ნელა უკანა პლანზე გადაინაცვლეს, მაგრამ რესპუბლიკის მთავარ გუნდს თაობათა ცვლის პროცესი თითქმის არ დასტყობია. სპარტაკიადაზე სწორედ ახლგაზრდებმა იასპარეზეს და სასიხარულოა, რომ მათი გამოსვლა ძიუდოს ქართული სკოლის ტრადიციების შესაფერისი იყო.

ბოლო წლებში საგრძნობლად დაწინაურდნენ საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიც. ეს ძირითადად დავით გობეჯიშვილისა და ლერი ხაბელოვის გამარჯვებასთან არის დაკავშირებული, თუმცა მათ გარდა საკავშირო ნაკრებ გუნდებში ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ათზე მეტი ფალავანი ირიცხება. საკავშირო ახალგაზრდული გუნდების წევრებმა სპარტაკიადაში მონაწილეობა ვერ მიიღეს (მიზეზი სპატიოა: ისინი საერთაშორისო შეჯიბრებებში ასპარეზობდნენ) და ამან, ცხადია, საგრძნობლად შეასუსტა ჩვენი ნაკრები. მიუხედავად ამისა, საქართველოს ფალავნებს სპარიზო ადგილს პრეტენდენტთა შორის ასახელებდნენ. შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ ისინი ურიგოდ არ მომზადებულან, პასიურობისათვის არც ერთი ჩვენი მოჭიდავე არ მოუხსნიათ. დავით გობეჯიშვილისა და ლერი ხაბელოვის გამარჯვება, ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევდა. ლიდერებმა მართლაც ბრწყინვალედ იჭიდავეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდნენ. ამ ტანდემს კარგად აუბეს მხარი ავთანდილ გოგოლიშვილმა და ზაზა თურმანიძემ. გოგოლიშვილმა რამდენიმე ძლიერი, გამოცდილი მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა. თურმანიძე კი მხოლოდ ფინალში გობეჯიშვილთან დამარცხდა და ვერცხლის ჯილდო მიიღო. თუ გავიხსენებთ, რომ 1971 წლის შემდეგ, ზედიზედ სამ სპარტაკიადაზე ჩემპიონი არ გვყოლია, ეს შედეგი, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ლაპარაკი პირად შედეგებზე, თორემ ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში უკან დაიხია და მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. ამის ძირითად მიზეზზე — პარალელური ჩათვლის სისტემაზე — უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა ყველაფერს დებულებას ვერ გადავაბრალებთ. თავისუფალი ჭიდაობის მესვეურებმა ორგანიზაციული დაუდევრობა გამოიჩინეს, სწორი სტრატეგიული გეგმა ვერ შეიმუშავეს და ამის გამო დაისაჯნენ კიდეც.

...ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი „კლასიკოსები“ დაიმედებულნი გაემგზავრნენ სპარტაკიადაზე. მთავარ შეჯიბრებამდე კარგა ხნით ადრე გუნდი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. თებერვალში ნაკრებს სათავეში ჩაუდგა სპორტის დამსახურებული ოსტატი თემურ აზარაშვილი. იგი ტიტულიანი, გამოცდილი სპორტსმენი, მაგრამ გამოუცდელი მწვრთნელია, თუ შეიძლება ითქვას, პირდაპირ სპორტული სარბიელიდან მოვიდა უფროსი მწვრთნელის პოსტზე. სამწუხაროდ, მისი ამ საქმიანობის დასაწყისი უიღბლო გამოდგა: საქართველოს ნაკრები ძალზე სუსტად გამოვიდა სპარტაკიადაზე და დაგეგმილი მესამე ადგილის ნაცვლად 130 ქულით მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა. ცხადია, რომ მწვრთნელთა საბჭოს განახლებულმა შემადგენლობამ ბოლომდე ვერ გაართვა თავი ამოცანას, ცალკეული მოჭიდავეები (მათ შორის ისეთები, რომლებისგანაც არცთუ უსაფუძვლოდ მოველოდით მაღალ ადგილებს) აშკარად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ და გუნდს ვერაფერში წაადგნენ. ერთადერთი მედალი (ვერცხლი) მძიმეწონასანმა ვასილ ქარსელაძემ მოიპოვა. არადა, დაგეგმილი იყო სხვადასხვა ხარისხის ხუთი მედალი. მაგალითად, ყველასათვის მოულოდნელი იყო ზაურ ივანიშვილის (90 კგ.) წარუმატებლობა. ამ სპორტსმენს ჭაბუკთა ორი მსოფლიო ჩემპიონატი აქვს მოგებული, სამი წლის წინათ, ხალხთა VIII სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა, ამჯერად კი მეხუთე ადგილზე დარჩა. აშკარად გააუარესა შედეგი ვასილ ონანიძეც (62 კგ.): ამ ეშვსი თვის წინ საბჭოთა კავშირის მოზრდილთა ჩემპიონატში იგი მეხუთე ადგილზე გავიდა, სპარტაკიადაზე კი მხოლოდ მეთერთმეტე იყო. იმედები ვერ გაამართლეს ჯემალ ბაკურიძემ (74 კგ) და მათუ სვანიძემ (130 კგ.), გურამ შონიამ (100 კგ.) კი თითქმის უბრძოლველად დათმო ორივე შეხვედრა.

სასპარტაკიადო ორთაბრძოლებმა ცხადყო, რომ ჩვენმა „კლასიკოსებმა“ დაკარგეს მათთვის დამახასიათებელი ხელწერა, მოულოდნელი, მაბვილგონივრული ილეთების ნაცვლად ძალისმიერი ბრძოლით ცდილობდნენ ფონს გასვლას, ამ მხრივ კი ისინი კონკურენტებს საგრძნობლად ჩამორჩებიან. საგანგაშო მდგომარეობაა დაბალ წონით კატეგორიებში, არ ჩანს საიმედო რეზერვი, მწვრთნელები უმეტეს შემთხვევაში უსისტემოდ ქაოსურად მუშაობენ. ერთი სიტყვით, კლასიკურ ჭიდაობაში სახარბიელო მდგომარეობა ვერა გვაქვს და ხარვეზების აღმოფხვრისთვის აქედანვე გვმართებს ზრუნვა.

ყველაზე უსიამოვნო გრძნობა მაინც სამბისტთა გამოსვლამ დაგვიტოვა. მართალია, ამ სახეობაში ერთი ჩემპიონი (ლევან ბასილაშვილი) და ორი პრიზიორი (დავით ხოდელი და რობერტ ძიძიშვილი) გვყავს, მაგრამ გუნდური მეათე ადგილი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. განსაკუთრებით საგანგაშო იყო შეჯიბრების პირველი ორი დღის შედეგები: ხუთივე ჩვენი მოჭიდავე ორ-სამ წრეში გამოეთიშა ბრძოლას. მათ შორის აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული პაატა ბუზარიაშვილი. საერთოდ, ათიდან ოთხმა მოჭიდავემ გუნდს ჩასათვლელი ქულა ვერ მისცა. ეს მაშინ, როცა მწვრთნელები სპარიზო სამეულში გასვლას გეგმავდნენ. დიახ, ნაკრები, რომელიც I-III ადგილებზე აცხადებდა პრეტენზიას, X ადგილზე დარჩა. ასეთი დაბალი მაჩვენებელი არც ერთ სპარტაკიადაზე არ გვქონია. აქვე ერთიც უნდა ვთქვათ: სამბოს ჩვენს რესპუბლიკაში აშკარად აკლია მზრუნველი ხელი. მარტო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მონდომება საქმეს ვერ უშველის. რეზერვთან მუშაობას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს და საქმე ყველა სპორტსაზოგადოებამ და უწყებამ თანაბრად უნდა გაინაწილოს. აუცილებელია, აგრეთვე, სამბოს სტაბილური ნაკრების ჩამოყალიბება, თორემ სახელდახელოდ შეკრებილი გუნდი დიდ სპორტულ სიმაღლეებს ვერ შეეჭიდება. აუცილებლად უნდა სრულყოთ რეზერვთან მუშაობის სისტემაც.

...სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები დასრულდა, მაგრამ ჩვენს ფალავნებს ხვალ-ზეგ კვლავ ელით სხვადასხვა რანგის სპორტული ასპარეზობანი. მალე თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოუხდებათ გამოსვლა. იმედი გვაქვს, რომ ამ და სხვა შეჯიბრებებიდან ქართველი ფალავნები ხელცარიელნი არ დაბრუნდებიან.

ასეთი ყურადღებაც სტიმულია

4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, შრომის სასახლეში აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს მუშაკებმა შეხვედრა მოუწყვეს „კოლმეურნის“ სპორტსმენებს — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პრიზიორებსა და მათ მწვრთნელებს. შეხვედრა გახსნა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ურჯუმელაშვილმა. სიტყვით გამოვიდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ო. კალაძე. სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონმა მძლეოსნობაში მაია აზარაშვილმა, მისმა მწვრთნელმა ევგენი გაგუამ, სინქრონული ცურვის ოსტატთა უფროსმა მწვრთნელმა ნატალია მაშუკმა, ოქროს მედლის მფლობელმა ჭიდაობა სამბოში ლევან ბასილაშვილმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს დიდი ყურადღება და ზრუნვა, თქვეს, რომ უფრო გულმოდგინედ მოემზადებიან მომავალი სტარტებისათვის.

შეხვედრის მონაწილენი საქართველოს პროფსაბჭოში.

ბოლოს რ. ურჯუმელაშვილმა და ო. კალაძემ სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცეს საპატიო სტუმრებს.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ სარედაქციო ფოსტა მოწმობს, ჩვენი საზოგადოებრიობა ფრიად დაინტერესებულია სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის შედეგების ანალიზისა და შეფასებების საკითხით. მკითხველებს ვთხოვთ უფრო კონკრეტულად, უფრო თამამად გაგვახვილონ ყურადღება მათთვის საინტერესო საკითხებზე. გაზეთის მეშვეობით შეგიძლიათ საქმიანი საუბარი გააბათ სპორტის ხელმძღვანელ მუშაკებთან, ორგანიზატორებთან, მწვრთნელებთან და თვით სპორტსმენებთან. პასუხებს თქვენს შეკითხვებზე „ლელოს“ ფურცლებზე გამოვაქვეყნებთ.

გამოხმაურება წერილზე: „ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲛᲡᲯᲔᲚᲝᲗ, ᲒᲐᲕᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲝᲗ, ᲨᲔᲕᲐᲯᲐᲛᲝᲗ“

სათქმელი ყველას აქვს

ᲐᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ვიტყვი: წლევანდელ სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების გამოსვლას მოუთმენლად მოველოდი. VII საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტულმა დელეგაციამ X ადგილი დიკავა, რაც უდავოდ საგანგაშო იყო. პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელიც რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით გატარდა, არ შეიძლება სასურველი შედეგი არ გამოეღო. გარკვეულ რეორგანიზაციას, რომელიც რესპუბლიკის სპორტსახკომმა გაატარა ბოლო წლებში, იმედის თვალით შევყურებდით, აკი უკეთ ვიასპარეზეთ კიდეც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში და ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ადამიანების დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი წარმატების თავადათავია. ვინც გარდაიქმნა და საქმეც გარდაქმნა, ვინც დროის მოთხოვნების შესატყვისად მუშაობს და ცხოვრობს, გარჯა-თავდადება ღირსეულად უნდა დავუფასოთ. ვფიქრობ, სპარტაკიადის შედეგების გაანალიზებისა და შეჯამებისას მათი ღვაწლი განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვებსაც მივცეთ სტიმული. მაქვს კონკრეტული წინადადება: გამოვავლინოთ სპარტაკიადის შედეგების მიხედვით რესპუბლიკის ათი საუკეთესო მწვრთნელი და ათი საუკეთესო ორგანიზატორი. დაე, რესპუბლიკამ გაიცნოს მათი სახელები.

და კიდევ: სპორტის სასახლეში მოვაწყოთ სპარტაკიადის მონაწილეთა (მხოლოდ გამარჯვებულები და პრიზიორები არ მაქვს მხედველობაში) შეხვედრა გულშემატკივრებთან, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან. წარმატება-წარუმატებლობაზე ვისაუბროთ პირდაპირ, პრინციპულად. სათქმელი ხომ ყველას გვაქვს. ასეთი შეხვედრა საქმეს არ წაახდენს.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
თბილისი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

4, 5 და 6 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 25-ე ტურის მატჩები. გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ 0:0.

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელები კამარზაევი, აჯოევი და მახინია.

„სპარტაკი“ — „შახტიორი“ 2:0 (1:0). სპარტაკელთაგან ბურთები გაიტანეს კუძლევმა და როდიონოვმა.

გააფრთხილეს „შახტიორის“ ფეხბურთელი რადენკო.

დუბლიორები — 1:0.

„ქაირათი“ — „ნეფთჩი“ 3:1 (0:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვოლგინმა და ფეხლევანიდიმ (2), ხოლო ბაქოელთა მხრივ — პონომარიოვმა.

დუბლიორები — 1:0.

„ჩერნომორეცი“ — „უალგირისი“ 0:2 (0:1). მასპინძელთა კარში ორივე ბურთი გაიტანა ნარბეკოვასმა.

გააფრთხილეს ვილნიუსელი ფეხბურთელები ნარბეკოვასი და ბუზმაკოვი.

დუბლიორები — 3:1.

„დნეპრი“ — „ზენიტი“ 0:0.

გააფრთხილეს ვიშნევსკი („დნეპრი“), ტიმოფეევი და ბარანიკი („ზენიტი“).

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „არარატი“ 0:1 (0:0). ერთადერთი ბურთი ტორპედოელთა კარში გაიტანა ა. ხაჩატრიანმა.

დუბლიორები — 3:1.

● მინსკის „დინამოსა“ და ქუთაისის ტორპედოელთა მატჩში გააფრთხილეს ქუთაისელი ფეხბურთელები ტყავაძე და შენგელია, აგრეთვე, მინსკელი ტრუხანი.

● კიევის „დინამოსა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა მატჩში (3:2) თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მიქაბერიძემ და ბეკოევმა, ხოლო მინსკის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრაში (5:1) ქუთაისელთაგან 11-მეტრიანით ბურთი გაიტანა მეკარე ქანთარიამ.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 9 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	25	18	3	4	63-29	39
„სპარტაკი“	25	16	5	4	61-25	37
„ზენიტი“	24	11	7	6	42-31	29
„შახტიორი“	25	11	7	7	36-28	29
„ჩერნომ.“	25	11	7	7	39-32	29
„დინ.“ თბ.	25	10	6	9	43-37	26
„დინ.“ მნ.	24	7	11	6	32-28	25
„დინამო“ მ.	23	9	5	9	31-26	23
„არარატი“	25	9	5	11	29-31	23
„ჟალგირ.“	25	9	5	11	29-32	23
„მეტალის.“	24	7	9	8	26-26	23
„დინამო“ კ.	20	8	6	6	29-27	22
„ტორპ.“ მ.	26	7	7	12	28-39	21
„ქაირათი“	25	6	6	13	21-48	18
„ნეფთჩი“	25	3	7	15	19-53	13
„ტორპ.“ ქ.	25	4	4	17	19-55	12

II ლიგა

6 ოქტომბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 27-ე ტურის შეხვედრები: „დინამო“ (სოხუმი) — „გიანჯლიკი“ (ბაქო) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 1:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 5:1, „ოლიმპია“ (აშტარაკი) — „დილა“ (გორი) 1:3, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 3:1, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „მეშახტე“ (ტყიბული) 6:0.

II ლიგა, IX ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქიაფაზი“	25	18	3	4	57-21	39
„დინამო“ ს.	27	17	3	7	48-26	37
„კოლხეთი“	27	15	2	10	48-42	32
„დილა“	27	14	4	9	39-32	32
„გიანჯლ.“	26	12	5	9	40-22	29
„ლოკომ.“ ს.	27	12	5	10	35-33	29
„ავტომობ.“	27	13	2	12	54-38	28
„მეტალურ.“	27	12	4	11	42-40	28
„სპარტაკი“	27	12	4	11	32-35	28
„ყარაბახი“	27	12	2	13	49-42	26
„მეშახტე“	27	10	6	11	31-37	26
„არაზი“	27	9	6	12	24-43	24
„შირაკი“	27	9	3	15	24-36	21
„ლოკ.“ თბ.	27	8	4	15	21-39	20
„კოლხოზჩი“	26	8	2	16	27-40	18
„ოლიმპია“	27	4	3	20	19-64	11

საქართველოს პირველობა

4 და 7 ოქტომბერს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის III და IV ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

I-XII ადგილები

III ტური, 4 ოქტომბერი

„კახეთი“ (თელავი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:1, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0, „ივერია“ (ხაშური) — „სულორი“ (ვანი) 0:3, „მადრეევანი“ (წყალტუბო) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:1.

IV ტური, 7 ოქტომბერი

„ეგრისი“ — „კახეთი“ 4:4, „შევარდენი“-სპი — „სულორი“ 3:1, „მადნეული“ — „მადრეევანი“ 1:2, „სამეგრელო“ — „არმაზი“ 3:1, „ამირანი“ — „ივერია“ 1:2, „დინამო“ ზ. — „მეტალურგი“ 2:0.

XIII-XXIII ადგილები

III ტური, 4 ოქტომბერი

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:1, „იმედი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:2, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:0, „დინამო“ (გაგრა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:2.

IV ტური, 7 ოქტომბერი

„ქართლი“ — „დინამო“ გ. 0:1, „სპარტაკი“ — „სალხინო“ 5:3, „საპოვნელა“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი 2:0, „მერცხალი“ — „დურუჯი“ 1:1, „იმერეთი“ — „იმედი“ 2:0.

ბატისტონი ვერ ითამაშებს

საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. მიშელმა განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 11 ოქტომბერს სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს მისი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი პატრიკ ბატისტონი. საფრანგეთის ჩემპიონატის განვლილი ტურის კალენდარულ მატჩში პ. ბატისტონი მძიმედ დაშავდა.

განახლებული შემადგენლობით

პორტუგალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალმა ხელმძღვანელმა რუი სეაბრამ გამოაცხადა, რომ მისი გუნდის შემადგენლობაში, რომელიც ახლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება, არ არის განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის არც ერთი მონაწილე. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა თავისი ნაკრების მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი და დაეთანხმა მწვრთნელს მთლიანად განაახლოს გუნდის შემადგენლობა. პორტუგალიის ახალ ნაკრებში მწვრთნელმა კვლავ დაბარუნა 30 წლის ფეხბურთელები— მცველი ალბერტო და თავდამსხმელი მანუელ ფერნანდეში.

სპორტული მეგობრობის მარადიანები

„გრივიცა როშიე“ თბილისში

საქართველოს რეგბისტთა გუნდები განებივრებულები არ არიან საერთაშორისო შეხვედრებით. ამიტომ ჩვენს რესპუბლიკაში რუმინეთის „გრივიცა როშიეს“ ჩამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. რუმინელმა რეგბისტებმა 4 ოქტომბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ამხანაგური მატჩი გამართეს თბილისის ნაკრებთან. მასპინძელთა გუნდის ღირსებას იცავდნენ „ლოკომოტივისა“ და „შევარდენის“ წევრები. პირველი ტაიმი თბილისელებმა მოიგეს — 9:6.

დაიწყო მეორე ტაიმი და სურათი მკვეთრად შეიცვალა: თავიდან რუმიხელებმა დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს, მეორე ტაიმში კი, შეიძლება ითქვას, დიდი რეგბის ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარეს მასპინძლებს. საბოლოდ ანგარიშით 32:9 გაიმარჯვა „გრივიცა როშიემ“. სხვათა შორის, ამ გუნდის ახალგაზრდულ შემადგენლობას 1973 წელს ბუქარესტში თბილისის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 10:4 მოუგო.

თამაშის შემდეგ ვესაუბრეთ სტუმართა გუნდის უფროს მწვრთნელს, რუმინეთის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ევროპის მრავალგზის ჩემპიონს, რუმინეთის ნაკრების ყოფილ კაპიტანს **ვიორელ მორარუს.** მან თქვა, რომ საერთაშორისო შეხვედრები ასე ეშვიათად კი არა, ყოველწლიურად უნდა ეწყობოდეს. ეს რეგბისტებისთვის მეტად სასარგებლო იქნებოდა.

— ქართველების თამაშზე რას გვეტყვით? — ვკითხეთ გამოცდილ სპეციალისტს.

— თქვენებს აკლიათ იმპროვიზაციის უნარი, გატკეპნილი გზით სიარული კი ბევრს ვერაფერს მოუტანს გუნდს. საჭიროა გუნდის ყველა წევრმა თამაშის წინ კონკრეტული დავალება მიიღოს. თავდასხმის მოთამაშეები კარგად არ არიან შეთამაშებულები ერთმანეთთან. ისინი პასის მიწოდებისაც სცოდავენ.

კაცმა რომ თქვას, თბილისელებს შეტევათა დაგვირგვინებისაკენ უფრო ზუსტად რომ ეთამაშათ, ასეთი დიდი ანგარიშით მოგებას ვერ შევძლებდით, — დასძინა მორარუმ.

* * *

მეორე მატჩი რუმინელმა სტუმრებმა ქუთაისში, „მშენებელთან“ გამართეს და დამარცხდნენ ანგარიშით 10:12. ამ მატჩის შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

თბილისელ და რუმინელ რეგბისტთა შეხვედრის ეპიზოდი.

დაწინაურდა ბიგანიშვილი

(დასასრული)

● თუ ხართ კმაყოფილი ჩემპიონატის პირველი ნახევრის შედეგებით?

— ოთხი დღის განმავლობაში მონაწილეებმა თითქმის ყველა სირთულე გამოსცადეს — სუსტი, საშუალო და ძლიერი ქარი. ეს ყველაფერი სპორტსმენებს ოსტატობის გამოვლენის საშუალებას აძლევდა და ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ადგილები ზუსტად სიძლიერის მიხედვით განაწილდა.

● რაში გამოიხატებოდა ბიგანიშვილის ტაქტიკა ამ ეტაპზე?

— მთავარი ამოცანა კონკურენტების კონტროლი იყო. გურამმა ამას მიაღწია, ახლა შეუძლია თავის თავსაც მიხედოს.

● ერთი პირველი, ორი მეორე და ერთი მესამე ადგილი ალბათ ცუდი შედეგი არ უნდა იყოს...

— სტაბილურობა სპორტში მაღალ ოსტატობას ნიშნავს. სოლოვიოვს, ხორეცკისა და სხვა კონკურენტებს სწორედ ეს თვისება აკლიათ.

● გურამი მესამე რბოლის შედეგით არ იყო კმაყოფილი; იქნებ გვითხრათ, რა მოხდა მაშინ?

— სტარტის წინ ამინდი სწრაფად იცვლებოდა და გურამმაც დისტანციაზე მისვლამდე იალქნები გამოცვალა. ეს გარკვეულ ნერვიულობასთან იყო დაკავშირებული, რომელმაც რბოლის დროს იჩინა თავი. მაგრამ მესამე ადგილი ცუდ შედეგად მაინც არ მიმაჩნია. მითუმეტეს, რომ თუ ეს შედეგი იქნა უვარგისი, მისი გაუქმებაც შეიძლება.

საქართველოს მეორე წარმომადგენელი ვიქტორ კოლოსოვი, რომელიც „ლუჩის“ კლასში ასპარეზობს, ჯერჯერობით VI ადგილზეა — 56,7 საჯარიმო ქულა (მეოთხე რბოლაში იგი მეცამეტე იყო). მაგრამ III-V ადგილებზე მყოფ სპორტსმენებთან იგი მხოლოდ ქულაზე ნაკლებს აგებს.

ახლა კი სხვა ლიდერებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

„470“ (ვაუები): გ. მინცე (ლიტვა) — 15,7 საჯარიმო ქულა; **„470“ (ქალები):** ლ. მოსკალენკო (უკრაინა) — 23 ქ. **„ტორნადო“:** ს. პრიიმაკი (უკრაინა) — 5,7, **„ხოლინგი“:** გ. შაიდუკო (მოსკოვი) — 3; **„ფინი“:** ო. ხოპერსკი (რსფსრ) — 3; **„ლუჩი“:** გ. მიანიკი (ესტონეთი) — 21; **„ფრინავი ჰოლანდიელი“:** ს. ბოროდინოვი (მოსკოვი) — 6.

ინფორმაცია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინამ გამოაცხადა, რომ სოკ-ის 91-ე სესიის (იგი ლოზანაში გაიმართება 12-18 ოქტომბერს) გასაუქებლად მიღებულია საკრედიტაციო განაცხადი თითქმის 1000 ჟურნალისტზე (100 ქვეყნიდან). საინფორმაციო საგენტოების, გაზეთების, ჟურნალების კორესპონდენტები, ტელევიზიისა და რადიოკომენტატორები, ფოტორეპორტიორები და კინოოპერატორები ლოზანაში ისე მიემგზავრებიან, როგორც ოლიმპიადაზე.

კემეროველმა იაკოვ ტოლსტიკოვმა გაიმარჯვა 7 ოქტომბერს გამართულ უგეოროდის ტრადიციულ მარათონში. 42 კილომეტრი და 195 მეტრი მან ქვეყნის სეზონის საუკეთესო შედეგით დაამთავრა — 2:11.43. ქალთა შორის უძლიერესი იყო ალმაათელი ტატიანა გრიდნოვა — 2:32.06.

სიმფეროპოლში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან ველორბოლაში გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე. 11 დღის ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ხარკოველმა ვასილ ედანოვმა.

თბილისის უბნების პირველობა ფეხბურთში

...და პენალტების სერიაც

კვირას მინიფეხბურთელთა შეჯიბრებამ თბილისის უბნების გუნდებს შორის, „ბურევესტნიკის“ სპორტკომპლექსიდან სპორტის სასახლეში გადაინაცვლა. როგორც მოსალოდნელი იყო, მეოთხედფინალური ეტაპის ბოლო ორმა შეხვედრამ თბილისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რამაც გუნდების მოთამაშეებს დამატებითი სტიმული მისცა.

მაყურებელი მწვავე, დრამატული შეხვედრების მოწმე გახდა.

საბურთალო — ორთაჭალა 0:0. პენალტებით — 2:4.

ეს მატჩი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. მეტოქეები უფრო მეტად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და წარმატების მიღწევას მხოლოდ სწრაფი კონტრშეტევების განხორციელებით ცდილობდნენ. ალბათ ამიტომაც იყო მოთამაშეთა ხშირი შეჯახებები და მსჯავსაც ხშირად უხდებოდა თამაშის შეჩერება. დრო გადიოდა, გოლი კი არ ჩანდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ-სამ ეპიზოდს, შეიძლება ითქვას, რეალური საგოლე მომენტი ამ შეხვედრაში არც შექმნილა. ასე რომ, მატჩის შედეგს (0:0) არავინ გაუკვირვებია. აღსანიშნავია, რომ შეხვედრა ასეთი ანგარიშით ამ ტურნირში პირველად დამთავრდა. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა პენალტების სერიის დანიშვნა.

7-მეტრიანი დარტყმები უფრო ზუსტად ორთაჭალელებმა შეასრულეს (4:2) და ნახევარფინალშიც გავიდნენ. ამ ეტაპზე ისინი შეხვდებიან ვერელებს.

ვაკე — დიდუბე 2:1 (0:0).

ეს შეხვედრა პირველზე გაცილებით საინტერესო გამოდგა. გუნდებმა თავიდანვე აქტიური ტაქტიკა აირჩიეს, თამაშის დაწყებისთანავე გია ნარიმანიძემ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი დიდუბელთა კარისაკენ გაგზავნა, მაგრამ ოდნავ ააცდინა მიზანს. რამდენიმე წუთის შემდეგ ზურაბ ბაქრაძემ დაიმსახურა ტაში: მისი ძლიერად დარტყმული ბურთი ვაკელთა კარის ძელმა მოიგერია. საინტერესო, დინამიური ბრძოლა მეორე ტაიმშიც გაგრძელდა, მაგრამ ფეხბურთელთა მოხდომებული თამაშის მიუხედავად, გოლი არ ჩანდა. შუა ტაიმში ვაკელთა შემადგენლობაში მოხდა ცვლილება, რამაც დიდი გავლენა ნოახდინა მატჩის შედეგზე: მოედანზე გამოვიდა ზაზა ბოკერია, რომელმაც საბრბიელზე სულ სამიოდე წუთი დაჰყო, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში მოასწრო ზუსტი გადაცემის შესრულება და ირაკლი ქავთარაძემ გახსნა ანგარიში — 1:0. სამი წუთის შემდეგ შეტევით გართულმა დიდუბელებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს იგივე ირაკლი ქავთარაძე. ირაკლიმ წინ გამოტაცა მეკარე და მარჯვნივ მიაწოდა ბურთი ცარიელი კარის წინ დარჩენილ გია ნარიმანიძეს — 2:0.

დიდუბელებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ისინი გააფთრებით უტევდნენ დაწინაურებულთა კარს და საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე შეამცირეს კიდეც სხვაობა ანგარიშში: ზურაბ ჯვარეიშვილმა პირველმა მიუსწრო ვაკელთა მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს და ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი მეტოქის კარში — 1:2. დარჩენილ დროში ვაკელებმა შეძლეს საკუთარი კარის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ისინი დიღმელებს შეხვდებიან.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალური შეხვედრები კვირას გაიმართება (დასწრება უფასოა).

ზურაბ ფოცხვერია.

5 ოქტომბერს დაარსების 800 წლისთავი იზეიმა ქალაქმა ვარძიამ. ათასობით სტუმარი ეწვია საქართველოს უძველეს კულტურულ ცენტრს. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს სპორტსმენებმაც და ფიზკულტურელებმაც. საქართველოს აგრომრეწვის გამჯანსაღებელი ცენტრის რბენის მოყვარულთა კლუბის წევრებმა მოაწყვეს ზემარათონული გადარბენა: თბილისი — ვარძია, მორბენლები ვარძიაში სწორედ ზეიმის დღეს, 5 ოქტომბერს ჩავიდნენ.

სურათზე: ვარძიის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი გადარბენის მონაწილეები დისტანციაზე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს მხოლოდ დასაწყისია

„ვის სურს ძალა მოსინჯოს?“ — ამ შეძახილს ბოლო ხანებში ხშირად გაიგონებთ რუსთავში. როგორც კი შესაღამოვდება, სპორტის მოყვარულები ხალხთა მეგობრობის პროსპექტზე, საჭიდაო სარბიელთან იკრიბებიან, რათა საკუთარი ძალა და სიმარჯვე გამოსცადონ. ჭიდაობის მსურველთა შორის ყველა ასაკის ხალხს შეხვდებით.

რუსთავში ბევრი ახალი სპორტული ნაგებობა გაჩნდა. საჭიდაო სარბიელი ერთ-ერთი მათგანია. ამჟამად ქალაქში სამოცდაათამდე მარტივი ტიპის მოედანია — მინი-ფეხბურთისა, ფრენბურთისა, კალათბურთისა, ხელბურთისა, ჩოგბურთისა. თუმცა, ამ, ერთი შეხედვით, მარტივი მოედნების მშენებლობაში დიდი შეუპოვრობა და საქმის სიყვარულია ჩაქსოვილი. ყოველი მოედანი შემოღობილია მავთულბადით, დგას ფეხბურთის კარები, კალათბურთის ფარები. მაყურებლებისთვის მოწყობილია დასაჯდომები. განზრახული აქვთ გასახდელები და საშხაპეებიც მოაწყონ.

ყველაფერი ეს შექმნილია ახალგაზრდების, სპორტის აქტივისტების, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ვეტერანების ხელით. მათ დიდი დახმარება გაუწიეს რუსთავის საწარმო-დაწესებულებებმა, ქალაქის მიკრორაიონების შეფებმა: ზოგი სამშენებლო მასალებით ეხმარებოდა, ზოგმა არაკონდიციური მილები გამოყო კარებისა თუ ფარებისათვის, ზოგმაც ტექნიკა გამოგზავნა. ერთი სიტყვით, მშენებლობა სახალხო იყო.

ახალ მიკრორაიონებში მდებარე სპორტულ მოედნებზე შეხვდებით კაზარინების სპორტულ ოჯახს, „ქიმიური ბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანების მუშას გალინა სისვაძეს. ავალიანების ოჯახის მამაკაცები ქართული ჭიდაობის მოყვარულები არიან.

„ძალოსანთა წრის“ მუდმივი სტუმრები არიან სამი ძმა ყავილაშვილები მამასთან ერთად.

— ფალავანთა იმპროვიზებული სარბიელის წყალობით, რომლის მოწყობასაც პრაქტიკულად არავითარი კაპიტალდაბანდება არ დასჭირვებია, საჭიდაო სექციაში მარტო სექტემბერში ოცდაათამდე ბავშვი ჩაეწერა, — ამბობს ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კარლო ნაჭყებია. — ახლა მწვრთნელები ხშირად აკითხავენ მიკრორაიონების სპორტულ მოედნებს, საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებენ ახალგაზრდებს, ეხმარებიან სპორტული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

ქალაქის ორმოცდაათი ათას ფიზკულტურელს შეემატა გოგონებისა და ჭაბუკების დიდი ჯგუფი. ახალგაზრდები თავისუფალ დროს საცხოვრებელ ადგილებში ვარჯიშობენ სპორტის საყვარელ სახეობებში. ეს მხოლოდ დასაწყისია. სპორტული მოედნების მშენებლობა გრძელდება...

ხ. გორელოვი.
(საკდესი).

„შრომითი სემესტრი“ გრძელდება

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა შრომითი საქმიანობა ყველასთვის კარგადაა ცნობილი. სხვადასხვა დროს ჩვენს სტუდენტებს მონაწილეობა მიუღიათ რესპუბლიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტების მშენებლობაში, „შრომითი სემესტრი“ წარმატებით ჩაუტარებიათ რესპუბლიკის გარეთაც. ამჟამად, როგორც ვიუწყებოდით, 150-კაციანი ჯგუფი საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში შრომობს, 30 სტუდენტი კი თბილისში სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტული ნაწარმის ფაბრიკის ახალი კორპუსის მშენებლობაში მონაწილეობს. სტუდენტები ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. თავისუფალ დროს კი ფაბრიკის მრავალრიცხოვან კოლექტივს ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციაშიც უწევენ პრაქტიკულ დახმარებას.

ᲤᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

მოთხრობა შესანიშნავ კაპიტანზე

ფეხბურთის მოყვარულები კვლავ გაგვახარა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობის გულშემატკივართა წიგნის თაროზე გაჩნდა ახალი ალბომი „შოთა იამანიძე“. მისი ავტორია დემიკო ლოლაძე, რომელმაც ადრე რამდენიმე საინტერესო კრებული შემოგვთავაზა — „გამარჯვება „რაინშტადიონზე“, „ვიტალი დარასელია“, „მურთაზ ხურცილავა“...

და აი, ახალი შეხვედრა. ამჯერად თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთ სახელოვან კაპიტანთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ შოთა იამანიძესთან, რომლის ამ ქვეყნიდან წასვლამ ყველას დაგვწყვიტა გული. შოთა იამანიძე! სწორედ მას — შოთა შავგულიძის, ბორის პაიჭაძის, ავთანდილ ღოღობერიძის ღირსეულ მემკვიდრეს — ხვდა ბედნიერება ყოფილიყო კაპიტანი, როცა „დინამომ“ პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. იმ შესანიშნავი შემადგენლობიდან დღეს ორი აღარაა ჩვენს შორის— შოთა იამანიძე და ვახტანგ რეხვიაშვილი.

ᲓᲔᲛᲘᲙᲝ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲨᲝᲗᲐ ᲘᲐᲛᲐᲜᲘᲫᲔ

ცხადია, ტაშკენტის ამ „ოქროს მატჩს“ საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ავტორი. ვეცნობით შოთა იამანიძის მოკლე საფეხბურთო ბიოგრაფიას — გზას ვარციხის ქუჩის პატარა ეზოდან, სახელგანთქმული 35-ე სკოლის გავლით, დიდ სტადიონამდე. აი, მისი დებიუტიც საყვარელ თბილისის „დინამოში“ (1954 წლის 14 აგვისტო), სადაც მან 301 მატჩი ჩაატარა და 66 ბურთი გაიტანა...

შესანიშნავ ფეხბურთელზე, ნიჭიერ ინჟინერზე, მზრუნველ მეოჯახეზე და კეთილშობილ მამაზე, თავად „პატიოსნებასა და სინდისზე“ მოგვითხრობს აგრეთვე რვა ათეულზე მეტი ფოტოილუსტრაცია და მეგობრული შარჟი.

ოთარ გოლაძე.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ

„ᲓᲔᲕᲘᲜᲘᲡ თასის“ გათამაშების ფინალურ შეხვედრაში ავსტრალიისა და შვეიცის ჩოგბურთელები იასპარეზებენ. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ნახევარფინალურ ბრძოლებში ავსტრალიელებმა შინ, ქალაქ ბრისბენში დაამარცხეს აშშ-ის წარმომადგენლები (3:1), შვედებმა კი პრაღაში სძლიეს მასპინძლებს, ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელებს. ამ შეხვედრაში თავისი გუნდის საბოლოო გამარჯვებისათვის მეტად საჭირო ქულა მოიპოვა შვეიცის ნაკრების დებიუტანტმა, 18 წლის კენტ ჯარლსონმა, რომელმაც მოუგო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს, მიროსლავ მეჩირს (6:0, 6:2, 6:4).

ფინალური შეხვედრა მელბურნში, 19-21 დეკემბერს გაიმართება.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებულ შტატებში შეიქმნა ახალი პროფესიული საკალთბურთო ლიგა „ტანმორჩილი“ სპორტსმენებისათვის. ამ ლიგაში გაერთიანებული გუნდების ღირსებას დაიცავენ კალათბურთელები, რომელთა სიმაღლე იქნება არა უმეტეს 193 სანტიმეტრისა. ლიგა, რომელსაც საერთაშორისო სტატუსი აქვს, პირველ მატჩებს მომავალი წლის ზაფხულში აშშ-სა და კანადის თორმეტ ქალაქში ჩაატარებს.

ახალი ლიგის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ უკვე 1988 წელს შეძლებენ „ტანმორჩილი“ კალათბურთელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობას.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

„ᲡᲙᲣᲐᲓᲠᲐ ᲐᲫᲣᲠᲐᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

როცა იტალიის ნაკრების ახალ მწვრთნელად აცელიო ვიჩინი დანიშნა, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მიუთითა, რომ ეს ღონისძიება ეროვნული გუნდის ადრინდელი ხელმძღვანელის ენცო ბეარზოტის მუშაობით უკმაყოფილოს არ გაუტარებია. ბეარზოტმა 11 წელი იმუშავა „სკუადრა აძურაში“ და ახლა, უბრალოდ, მისი შეცვლის დრო დადგა.

აცელიო ვიჩინი დაიბადა 1933 წლის 20 მარტს. მწვრთნელად მუშაობა დაიწყო 60-იანი წლების ბოლოს. ერთი სეზონის განმავლობაში (1967-1968) მუშაობდა „ა“ სერიის (უმაღლესი ლიგა) კლუბ „ბრეშიაში“, რომელმაც იმ ჩემპიონატში ბოლოსწინა, მე-15 ადგილი დაიკავა და უძლიერესთა რიგები დატოვა. ამის შემდეგ აცელიო ვიჩინიმ მუშაობა დაიწყო იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც 1975 წლამდე დარჩა, მანამდე, სანამ მას ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები არ ჩააბარეს. თავდაპირველად ვიჩინი 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელებისაგან დაკომპლექტებულ გუნდს ხელმძღვანელობდა, 1976 წლიდან კი — 21 წლამდე ასაკისანი ჩააბარეს. მან საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვიჩინის ხელმძღვანელობით ჩატარებულ 28 მატჩში გუნდს არც ერთხელ არ დაუტოვებია მინდორი გატანილი გოლის გარეშე და მან დაძაბული ბრძოლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა. ფინალში იტალიელთა მეტოქეა ესპანეთის ნაკრები. მატჩები 15 და 29 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. სწორედ ვიჩინის გუნდში გამოიჩინეს თავი ახლა უკვე ცნობილმა ოსტატებმა: ჯანინიმ, დენაპოლიმ, ვიალიმ, ბალდიერიმ და სხვებმა.

ამას წინათ ვიჩინიმ განაცხადა: „ფეხბურთში ახალს ვეღარაფერს გამოიგონებ. ამ თამაშის მომავალი სისწრაფეშია, მუდმივ მოძრაობასა და კარგ გამძლეობაში. მართალია, იტალიის ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, თამაშის შემტევი სტილით გამოირჩეოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე არ ვთვლი ჩემს თავს ამ ტაქტიკის მიმდევრად. მე, ისევე როგორც ყველა იტალიელი, უფრო დაცვითი ტაქტიკის მომხრე ვარ. მთავარია სად იქნება სიმძიმის ცენტრი დაცვაში. შეიძლება აქტიური დაცვით თამაში, შეიძლება მთელი გუნდით უკან დახევა. იდეალური ვარიანტია ორივე ამ კომპონენტის შეერთება“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ნოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05842